სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება

ქ. თბილისი

06/11/2025

MES 1 25 0001551089

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აუდიო და ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ სტუ-ს რექტორის 2025 წლის 21 მარტის MES 8 25 0000314422 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 57-ე და 63-ე მუხლების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აუდიო და ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესების დამტკიცების თაობაზე“ სტუ-ს რექტორის 2025 წლის 21 მარტის MES 8 25 0000314422 ბრძანების მე-2 პუნქტით დამტკიცებულ ვიდეომონიტორინგის განხორციელების წესში (დანართი 2) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-4 მუხლის:
ა.ა) მე-2 პუნქტს დაემატოს „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტები და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ვ) საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში;
ზ) საგამოცდო ცენტრებში.“;
ა.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. ვიდეომონიტორინგი ხორციელდება აგრეთვე, უნივერსიტეტის დარბაზებში (ნიკო ნიკოლაძის, გიორგი ნიკოლაძის) და სტუდენტის სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომების ან კოლოქვიუმის დაცვისას, შესაბამისად აღჭურვილ აუდიტორიებში.“;

ბ) მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი პასუხისმგებელია უნივერსიტეტის დარბაზებში და სტუდენტის სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომების ან კოლოქვიუმის დაცვისას სამსახურის ტექნიკური უზრუნველყოფით განხორციელებულ ვიდეომონიტორინგის პროცესთან დაკავშირებულ მოქმედებებზე, ხოლო უნივერსიტეტის დანარჩენ სივრცეებში განხორციელებულ ვიდეომონიტორინგზე პასუხისმგებელია დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.“;

გ) მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ბ) უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსს და უნივერსიტეტის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის მონიტორინგისა და ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის წევრებს;
გ) უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსს და მის მიერ შესაბამისი წერილობითი დოკუმენტით გამოყოფილ პასუხისმგებელ პირებს;“;

დ) მე-7 მუხლს დაემატოს მე-5 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„5. სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომების ან კოლოქვიუმის დაცვის პროცესის ვიდეოჩანაწერის ფორმირებიდან ერთი კვირის განმავლობაში, ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ ჩანაწერის მიწოდებას შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომების ან კოლოქვიუმის დაცვების ვიდეოჩანაწერების მიღებაზე წერილობით გამოყოფილი პასუხისმგებელი პირებისთვის, წინასწარ შეთანხმებული ფორმით და ახდენენ ვიდეოჩანაწერის გადაცემის მიღება/გადაცემის პროცესის დოკუმენტირებას, შეთანხმებული ფორმით. გადაცემული ვიდეოჩანაწერების წვდომაზე უფლებამოსილი არიან შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის მიერ განსაზღვრული პირები.“;

ე) მე-8 მუხლის:
ე.ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. უნივერსიტეტში, ამ წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულ ადგილებში, ვიდეოსათვალთვალო სისტემის საშუალებით, უწყვეტად მიმდინარეობს სადღეღამისო (24 საათიანი) ვიდეომონიტორინგი, ხოლო სტუდენტის სამაგისტრო ან სადოქტორო ნაშრომის ან კოლოქვიუმის დაცვისას, - შესაბამისად, დაცვის პროცესის ხანგრძლივობით.“;
ე.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„3. სადისერტაციო/სამაგისტრო ნაშრომების და კოლოქვიუმის დაცვების ჩანაწერები ინახება საარქივო კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საქმისწარმოების ერთიანი წესისა და საქმეთა ნაერთი ნომენკლატურით განსაზღვრული ვადით, ხოლო უნივერსიტეტის სხვა ადგილებში განხორციელებული ვიდეომონიტორინგის ჩანაწერები - 21 დღის განმავლობაში.“;

ვ) ვიდეომონიტორინგის წესის დანართი №6 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ბრძანება გამოცხადდეს საჯაროდ და გამოქვეყნდეს უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე. ბრძანების გაცნობა დაინტერესებული პირებისთვის უზრუნველყოს უნივერსიტეტის საქმისწარმოების დეპარტამენტმა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

რექტორი
გურგენიძე დავით